საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA
გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახური
DIVISON FOR ENVIRONMENTAL PERMITS AND LICENSES

საქართველო, 0162, თბილისი, თამარაშვილის ქ. 15ª; ტელ: 39-91-81, ფაქსი: 39-91-81, E-mail:ecoegzam@caucasus.net

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახურის უფროსი
თეიმურაზ გოდერძიშვილი
(სახელი, გვარი)
ბ. ა.
(ხელმოწერა)

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის
დასკვნა პროექტზე

№ ___15___

"__17__" ____03____ 2005 წ.

I. საერთო მონაცემები

1. **საქმიანობის კატეგორია** – პირველი
2. **პროექტის დასახელება** – ნავთობპროდუქტების საწყობი
3. **ინვესტორის დასახელება და მისამართი** – შ.პ.ს „გრანდი", თბილისი, კახეთის გზატკეცილი
4. **განხორციელების ადგილი** – თბილისი, კახეთის გზატკეცილი ნავთლუღის სარკინიგზო სადგურის მიმდებარე ტერიტორია
5. **განაცხადის შემოსვლის თარიღი** – 19.11.04
6. **მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ** – "საქნავთობმშენპროექტი"

II. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებანი

შ.პ.ს. „გრანდი"-ს მიერ გარემოსდაცვითი ნებართვის მიღების მიზნით სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე გასახილველად წარმოდგენილი „ნავთობპროდუქტების საწყობის დამასაბუთებელი დოკუმენტაცია" მოიცავს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ავარიშს, მავნე ნივთიერებათა გამონაფრქვევების ზღვრულად დასაშვებ ნორმათა პროექტს და ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა გამონაფრქვევების ინვენტარიზაციის ტექნიკურ ანგარიშს. საპროექტო დოკუმენტაცია შესრულებულია „საქნავთობმშენპროექტი"-ს მიერ.

საქმიანობის განხორციელება გათვალისწინებულია ქ. თბილისში, ნავთლუღის სარკინიგზო სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელზედაც წლების მანძილზე განთავსებული იყო რკინიგზის სამმართველოს საწვავ-საპოხი მასალების საწყობი. სამხრეთით მას ესაზღვრება სარკინიგზო ხაზები და მეურნეობა, ჩრდილოეთით 135 მეტრის დაცილებით კი – კახეთის გზატკეცილი და საცხოვრებელი მასივი.

სულ პროექტით გათვალისწინებულია წლიურად 25600 $მ^3$ ნავთობ-პროდუქტების მიღება-გაცემა, მათ შორის 19200$მ^3$ დიზელის, 3200 $მ^3$ ბენზინი პრემიუმის, 1600 $მ^3$ ბენზინი ნორმალის და 1600 $მ^3$ ბენზინი რეგულარის მიღება. საწარმოში დაგეგმილია: ვერტიკალური რეზერვუარები – დიზელის საწვავის – 1000$მ^3$ 2 ცალი, 400$მ^3$ 1 ცალი, ბენზინის 400$მ^3$ 1 ცალი, 200$მ^3$ 2 ცალი, სარკინიგზო ესტაკადა, სატუმბი სადგური, გამწმენდი ნაგებობა.

ნავთობპროდუქტების მიღება დაგეგმილია სარკინიგზო ხაზით შემოსული ვაგონცისტერნებიდან. მიმღები რეზერვუარები განლაგებულია მიმდევრობით. ყოველი მათგანი აღჭურვილია სასუნთქი სარქველებით. გაცემა მოხდება სპეციალური ბაქნიდან. მიღებული პროდუქტები იგივე პრინციპით საჭიროებისამებრ გაიცემა ვაგონ-ცისტერნებით, ხოლო ნაწილი მოთხოვნილებისამებრ ტუმბოს მეშვეობით გადაეცემა ავტოცისტერნებში ჩამოსასხმელ კუნძულს. საპროექტო გადაწყვეტილების საფუძველზე დაგეგმარებულია აგრეთვე სასმელ-სამეურნეო წყალსადენის, სახანძრო წყალსადენის და ფეკალური კანალიზაციის მოწყობა.

დოკუმენტაციაში მოცემულია მავნე ნივთიერებათა ატმოსფეროში გაბნევის გაანგარიშებები, წყლის რესურსების დაცვის საკითხები, შეფასებულია წყლის მოხმარების მოცულობები, სახანძრო და წყლის გაწმენდის სისტემების ჩათვლით, ნარჩენების მართვის, ხმაურის, სანიტარული ზონის მოწყობის (რომლის საზღვრად მიჩნეულია 100მ.) და სხვა საკითხები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის და ექპერტული შეფასების შედეგად დამოუკიდებელ ექპერტთა კომისიას მიაჩნია, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია რიგ შემთხვევაში მოითხოვს დაკონკრეტებას, ამდენად მის მიხედვით საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საექსპერტო დასკვნაში მითითებული საკითხების დაზუსტებისა და შესრულების შემთხვევაში, რომლებიც შენიშვნების სახით ასახულია წინამდებარე დასკვნის III თავში.

IV. დამატებითი პირობები

1. ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვების მზადყოფნასთან დაკავშირებით შექმნილი მიმღები კომისიის შემადგენლობაში გათვალისწინებული იქნას საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენლის მონაწილეობა;

2. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობისა და დასკვნაში მოყვანილი შენიშვნების შესრულების შესახებ, ყოველი წლის მარტის თვეში წარდგენილ იქნას შესაბამისი ანგარიში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში;

3. ობიექტი გარემოსდაცვით სახელმწიფო ინსპექტირებას ექვემდებარება წელიწადში ერთხელ, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ.

III. შენიშვნები

1. წინამდებარე დასკვნის გაცემიდან სამი თვის ვადაში საწარმოსათვის დადგენილი სანიტარულ-დამცავი ზონის ფარგლებში ტერიტორიის კეთილმოწყობის მიზნით, შედგენილი იქნეს „სანიტარულ-დამცავი ზონის ტერიტორიის გამწვანებისა და კეთილმოწყობის პროექტი". აღნიშნული პროექტი შეთანხმდეს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების ქ. თბილისის კომიტეტთან. პროექტის განხორციელება დაიწყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი დამტკიცებისთანავე.

2. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში მოცემული სტრატეგიის შესაბამისად დამუშავდეს და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების ქ. თბილისის კომიტეტთან შეთანხმდეს:

– გარემოსდაცვითი მონიტორინგის /თვითმინიტიორინგის/ კონკრეტული გეგმა, მის შესრულებაზე პასუხისმგებელი ფიზიკური და/ან იურიდიული პირების მითითებით. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს გარემოში მავნე ნივთიერებათა გამოყოფის ყველა შესაძლო შემთხვევაზე, მათ შორის: ატმოსფერულ ჰაერში ემისიებზე, საჭიროების შემთხვევაში დაზუსტებული გათვლების ჩატარებით და ფაქტიური მდგომარეობის რეგულარული აღრიცხვით; ჩამდინარე წყლების ნავთობპროდუქტებისაგან გაწმენდის ეფექტურობის, მათ შორის ჰიდროსაიზოლაციო და სანიაღვრე სისტემებიდან, აგრეთვე საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი დაბინძურებული წყლების გამწმენდ ნაგებობაში მოხვედრის და გაწმენდის, აგრეთვე გამწმენდ ნაგებობაში დაგროვილი შლამის განთავსების და გადამუშავების საკითხებზე; ხმაურის, ელექტროუსაფრთხოებისა და სტატიკური ელექტრობის საშიშროების საკითხებზე, ამ კუთხით ჩატარებული დამატებითი შესწავლის საფუძველზე, სადაც გათვალისწინებული იქნება გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების მოთხოვნები.

– ავარიულ სიტუაციაზე რეაგირების კონკრეტული გეგმა, მის შესრულებაზე პასუხისმგებელი ფიზიკური და/ან იურიდიული პირების მითითებით. სხვა საკითხებთან ერთად ყურადღება გამახვილდეს დაღვრების შემთხვევაში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ლოკალიზაციისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებებზე;

3. საწარმოოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების, მათ შორის შესაძლო ტოქსიკური ნარჩენების გადამუშავების და განთავსების საკითხი შეთანხმდეს მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან.

4. შეწავლილ იქნას სამშენებლო ტერიტორიის გეოლოგიურ-ჰიდროგეოლოგიური პირობები და საჭიროების შემთხვევაში შემუშავებული და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების ქ. თბილისის კომიტეტთან შეთანხმებულ იქნას შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები ნავთობპროდუქტების გრუნტის წყლებში შეღწევის თავიდან აცილების, ნაგებობების ფუნდამენტის მშრალ მდგომარეობაში არსებობის უზრუნველყოფის და საქმიანობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების მოწესრიგების მიზნით.

V. დასკვნა

შპს "გრანდის" მიერ გარემოსდაცვითი ნებართვის მიღების მიზნით სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი "ნავთობპროდუქტების საწყობის დამასაბუოებელი დოკუმენტაციის" მიხედვით საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია.

საქმიანობის დაწყებამდე გათვალისწინებული იქნას წინამდებარე დასკვნის III თავში მოყვანილი შენიშვნები და IV თავში მოყვანილი 1 პირობა.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მოქმედების ვადად განისაზღვროს 10 წელი.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის
საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე გ. დარციმელია

(სახელი, გვარი, ხელმოწერა)

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060172628772515

ბრძანება №-261

ქ. თბილისი

16 / აპრილი / 2015 წ.

შპს „გრანდი“-ზე გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობის დუბლიკატის გაცემის შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–17 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გაიცეს შპს „გრანდი“-ზე გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობის დუბლიკატი ნავთობპროდუქტების საცავზე (თბილისი, კახეთის გზატკეცილი, ნავთლუღის სარკინიგზო სადგურის მიმდებარე ტერიტორია);
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს „გრანდი“-ზე 2005 წლის 19 მაისს გაცემული გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა №0037;
3. ნებართვის მოქმედების ვადა - უვადო;
4. დაევალოს სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის უწყებრივი სანებართვო რეგისტრაციის ჟურნალში შესაბამისი ცვლილების განხორციელება;
5. ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „გრანდი“-ს;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „გრანდი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში-საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქ.№7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსის თამარ შარაშიძის მოხსენებითი ბარათი და შპს „გრანდი“-ს (24.03.2015 და 06.04.2015) წერილები.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს

მინისტრი

ელგუჯა ხოკრიშვილი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
საქმისწარმოებისა
და ადამიანური
რესურსების მართვის
სამმართველო

დედანი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N 000140

კოდი MD1 „16" „04" 2015

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი
შპს „გოლანდი"

2. საქმიანობის მიზანი
ნაგებობა-პროდუქტების საწყობი

3. ადგილი (ადგილმდებარეობა), სადაც უნდა განხორციელდეს საქმიანობა
თბილისი, კაბელების გზაჯვარედინი, ნაგებობების სასოფლო-მეურნეო სადგ. მიმდებ. ტერიტ.

4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია
„სანქნაგებობმშენებლობაპროექტი"

5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია
გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

6. ნებართვის გაცემის საფუძველი
საბუნებრივი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №15; 17.03.2005.

7. ნებართვის პირობები ნებართვა მოქმედებს საბუნებრივი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულების შემთხვევაში.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენელი (გვარი, სახელი, თანამდებობა) გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის ოფიციალური თანამში პირისაგან

ბ.ა.

დამკვეთი: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
დამამზადებელი: შპს „კაბადონი +"
სფს-ს რეგისტრაციის N 26-4034

N 000140

შპს „გრანდი“

17 აპრილი 2015

ქ.თბილისი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის
სამინისტროს მინისტრს ბატონ ელგუჯა ხოკრიშვილს

შპს „გრანდის“ წარმომადგენლის ოლეგი ნანაძისა და შპს
„სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ წარმომადგენლის დავით
მარინაშვილის

ერთობლივი განცხადება

ბატონო ელგუჯა,

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „გრანდზე“ 2015 წლის 16 აპრილს გაიცა №000140 გარემოზე ზემოქმედების ნებართვა ქ.თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, ნავთლუღის სარკინიგზო სადგურის მიმდებარედ არსებულ ნავთობპროდუქტების საცავისთვის.

გვსურს აღნიშნული ნებართვა საკუთრებაში გადაეცეს შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმს“.

შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ თანახმაა საკუთრებაში მიიღოს აღნიშნული ნებართვა, შეასრულოს და დაიცვას აღნიშნულ ნებართვაში მითითებული ყველა პირობა და ვალდებულება, რაზეც ვაწერთ ხელს.

დანართი: 1) ნებართვის გასხვისების შესახებ ხელშეკრულება 2) ამონაწერები მეწარმეთა რეესტრიდან

პატივისცემით,

შპს „გრანდის“ წარმომადგენელი ოლეგი ნანაძე — ო.ნანაძე

შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ წარმომადგენელი — დ.მარინაშვილი

საქართველოს
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო
№ 6849
"17" 04 2015 წ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060162884584615

ბრძანება №-273

ქ. თბილისი

23 / აპრილი / 2015 წ.

შპს „გრანდი"-ზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"-ზე გადაცემის შესახებ

,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის'' შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „გრანდი"-ს ნავთობპროდუქტების საცავზე (თბილისი, კახეთის გზატკეცილი, ნავთლუღის სარკინიგზო სადგურის მიმდებარე ტერიტორია) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გადაეცეს შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"-ს;
2. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს 2005 წლის 17 მარტის №15 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება;
3. დაევალოს სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტს უზრუნველყოს უწყებრივ სანებართვო რეესტრში ცვლილებების შეტანა და ახალი სანებართვო მოწმობის გაცემა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „გრანდი"-სა და შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"-ს;
5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს „გრანდი"-ზე 2015 წლის 16 აპრილს გაცემული გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა №000140;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „გრანდი"-სა და შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში - საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა №7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: შპს „გრანდი"-სა და შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"-ს წარმომადგენლების ერთობლივი განცხადება, მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულება და გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსის თამარ შარაშიძის მოხსენებითი ბარათი.

მინისტრი ელგუჯა ხოკრიშვილი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N 000141

კოდი MD1 „23" „04" 2015

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი
შპს „სოფელი ჭალიჭეთა ნეტგროუფოლინი"

2. საქმიანობის მიზანი
ნაგავსაყრელის ხელახალი

3. ადგილი (ადგილმდებარეობა), სადაც უნდა განხორციელდეს საქმიანობა
ტბილისი, კაბალეთის გზასაყეარი, ნაგავსაყრელის სანიტარიულ ზონა სადგ. მიმდებ. ტერიტ.

4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია
„საქართველოს მშენებლობა"

5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია
გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

6. ნებართვის გაცემის საფუძველი
სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №15; 17.03.2005.

7. ნებართვის პირობები ნებართვა მოქმედებს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულების გარემოებაში.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს
უფლებამოსილი წარმომადგენელი გარემოზე ზემოქმედების ნებართვების
(გვარი, სახელი, თანამდებობა) დეპარტამენტის ოფიციალური
თანამშრომელი.

ბ.ა.

დამკვეთი: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
დამამზადებელი: შპს „კაბადონი +"
სფს-ს რეგისტრაციის N 26-4034

N 000141

საქართველოს გარემოს და ბუნებრივი

რესურსების დაცვის მინისტრს

ბ-ნ გ. აგულაშვილს

ბატონო გიგლა,

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შ.პ.ს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმზე" გაიცა გარემოზე ზემოქმედების №000141 (23.04.2015) ნებართვა.

აღნიშულიდან გამომდინარე გვსურს უვადოდ საკუთრებაში გადავცეთ შ.პ.ს "გრანდს".

შ.პ.ს "გრანდი" (216369409) თანახმაა საკუთრებაში მიიღოს აღნიშნული ნებართვა ასევე შეასრულოს და დაიცვას აღნიშნულ ნებართვაში მითითებული ყველა პირობა, რაზეც ვაწერთ ხელს.

შ.პ.ს "გრანდი"

დირექტორი

ა. კვანტალიანი

შ.პ.ს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"

დირექტორი

ლ. გიორგაძე

საქართველოს
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო
5791

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060164277453817

ბრძანება №-162

ქ. თბილისი

30 / მარტი / **2017** წ.

შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“-ზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შპს „გრანდი“-ზე გადაცემის შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის” შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“-ის ნავთობპროდუქტების საცავის ფუნქციონირებაზე (თბილისი, კახეთის გზატკეცილი, ნავთლუღის სარკინიგზო სადგურის მიმდებარე ტერიტორია;) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გადაეცეს შპს „გრანდი“-ს;
2. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს 2005 წლის 17 მარტის №15 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება;
3. დაევალოს სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტს უზრუნველყოს უწყებრივ სანებართვო რეესტრში ცვლილებების შეტანა და ახალი სანებართვო მოწმობის გაცემა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“-ზე 2015 წლის 23 აპრილს გაცემული გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა №000141;
5. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“-სა და შპს „გრანდი“-ს;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“-სა და შპს „გრანდი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში - საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა №7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

მინისტრი

გიგლა აგულაშვილი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N 000248

კოდი MD1 „30" „03" 2017

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი

შპს „გრიფონი"

2. საქმიანობის მიზანი

ნაგებობა-ინფრასტრუქტურის სასტუმრო

3. ადგილი (ადგილმდებარეობა), სადაც უნდა განხორციელდეს საქმიანობა

თბილისი, კაბელების გზაჯვარედინი, ნაგებობების სრული ინვენტარიზაციით სადგ. მიმდებარე ტერიტ.

4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია

„საქნაგებობინფრასტრუქტურა"

5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

6. ნებართვის გაცემის საფუძველი

საბჭოთა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა № 15; 17.03.2005.

7. ნებართვის პირობები ნებართვა საბჭოთა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესრულების შემთხვევაში.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენელი (გვარი, სახელი, თანამდებობა) გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსი თამარ ჯოხაძე

ბ.ა.

დამკვეთი: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
დამამზადებელი: შპს „კაბადონი +"
სფს-ს რეგისტრაციის N 26-4034

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი

რესურსების დაცვის სამინისტროს

07 სექტ. 2017 წ.

ქ.თბილისი

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „გრანდი"–ზე (ს/კ 216369409) გაიცა გარემოზე ზემოქმედების ნებართვა #000248. თარიღი 30.03.2017.

გვსურს აღნიშნული ნებართვა უვადოდ საკუთრებაში გადავცეთ შპს "იბეროილი"–ს.

შპს „იბეროილი" (ს/კ 406079586) თანახმაა საკუთრებაში მიიღოს აღნიშნული ნებართვა. შეასრულოს და დაიცვას აღნიშნულ ნებართვაში მითითებული ყველა პირობა, რაზეც ვაწერთ ხელს.

შპს „გრანდი"–ს დირექტორი: ასლან კვანტალიანი

GRANDI LTD 216369409 GEORGIA

შპს „იბეროილი"–ს დირექტორი: მიხეილ ნიკოლეიშვილი

577 54 07 07

საქართველოს
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო
0606

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060104112271917

ბრძანება **N0-187**

ქ. თბილისი **12 / აპრილი / 2017 წ.**

შპს „გრანდი“-ზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შპს „იბეროილი“-ზე გადაცემის შესახებ

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის” შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „გრანდი“-ს ნავთობპროდუქტების საცავზე (თბილისი, კახეთის გზატკეცილი, ნავთლუღის სარკინიგზო სადგურის მიმდებარე ტერიტორია) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გადაეცეს შპს „იბეროილი“-ს;
2. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს 2005 წლის 17 მარტის №15 სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება;
3. დაევალოს სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტს უზრუნველყოს უწყებრივ სანებართვო რეესტრში ცვლილებების შეტანა და ახალი სანებართვო მოწმობის გაცემა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს „გრანდი“-ზე 2017 წლის 30 მარტს გაცემული გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა №000248;
5. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „გრანდი“-სა და შპს „იბეროილი“-ს;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „გრანდი“-სა და შპს „იბეროილი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში - საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა №7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

მინისტრი გიგლა აგულაშვილი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N 000253

კოდი MD1 „12" „04" 2017

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი
შპს „ინტერიერი"

2. საქმიანობის მიზანი
ავეჯისწარმოებლობა

3. ადგილი (ადგილმდებარეობა), სადაც უნდა განხორციელდეს საქმიანობა
ობერეული, ყახეთის გზისპირი, ავეჯისფაბრიკის საწარმოებელი სადგომი ნაგებობა. ნომერ.

4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია
„საქართველოს ბუნებრივი პროექტი"

5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია
გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

6. ნებართვის გაცემის საფუძველი
სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №15; 17.03.2005.

7. ნებართვის პირობები ნებართვაზე ზემოქმედების სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესრულების შემთხვევაში.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს
უფლებამოსილი წარმომადგენელი გარემოზე ზემოქმედების ნებართვების
(გვარი, სახელი, თანამდებობა) ექსპერტიზის ოცესრის
თანამ. სპეციალისტი

ბ.ა.

დამკვეთი: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
დამამზადებელი: შპს „ჯაბადონი +"